KA070106702783222

N06/458
03 / მაისი / 2022 წ.

შპს „სიმეტრია ჯიქიაზე“ დირექტორს
ბ-ნ ბესიკ თეთვაძეს
ს/ნ 405461218

თქვენს წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნული მუზეუმის თანხმობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან პროექტის შესათანხმებლად, გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.14.05.007.719), სადაც იგეგმება სამშენებლო სამუშაოები, მდებარეობს სანდრო ეულის არქეოლოგიურ უბანში. საპროექტო ტერიტორიაზე ადრე არსებობდა ნაგებობა (იხ. სატელიტური ფოტო), რომელიც შემდეგ დაანგრიეს. ადგილზე შენარჩუნებულია ამ შენობის სამშენებლო ნარჩენები, რის გამოც არქეოლოგიური საცდელი ჭრილების გავლება არ არის შესაძლებელი, ვიდრე არ გაიწმინდება ტერიტორია ძველი ნაგებობის ნარჩენებისგან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული მუზეუმი არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ სამუშაოები, იმ პირობით, თუ გაწმენდითი სამუშაოები და ახალი ნაგებობისთვის საძირკვლის გათხრა მოხდება სპეციალისტი არქეოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ, ხოლო არქეოლოგიური ობიექტ(ებ)ის აღმოჩენის შემთხვევაში, უნდა შეჩერდეს სამუშაოები და ჩატარდეს სრულყოფილი არქეოლოგიური კვლევა.

ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზურაბ მახარაძე